შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ

შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84, კლინიკის ერთსართულიანი შენობის რეკონსტრუქციის შესახებ

თბილისი 2016 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84-ში, კლინილის ერთსართულიანი შენობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ

ტექნიკური მდგომარეობის კვლევა წარმოებდა "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს" მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგოარეობის დადგენის ინსტრუქციისა" და СП-13-102-2003-ის "შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84-ში არსებული კლინილის შენობა მდებარეობს სწორ ზედაპირზე. იგი წარმოადგენს ერთ სართულიან შენობას ნაწილობრივ აგურის და ნაწილობრივ ბლოკის წვრილ შემავსებლიანი მზიდი კედლებით. შენობის ნაწილში ლითონის კონსტრუქციებში მოწყობილია ანტრესოლი.

კლინიკის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს:

1. არსებული შენობის ფარგლებში ერთი სართულის დაშენებას.
2. არსებული შენობის გარშემო ახალი შენობის მიშენებას - სარდაფითა და ოთხი სართულით.




სურ.1. არსებული ნაგებობის ხედი

უბანი, სადაც განლაგებულია შენობა, ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სეისმიურობა - 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2



სურ.2. ნაგებობის ხედი რეკონსტრუქციის შემდეგ

შ.პ.ს. "რედი"-ს დაკვეთით შ.პ.ს. "გეოსტანდარტპროექტი"-ს ინჟინერ გეოლოგების მიერ 2013 წელს შესრულდა საინჟინრო – გეოლოგიური კვლევები, ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84-ში მდებარე კლინიკის ერსართულიანი შენობის, საძირკვლების ჩაღრმავებისა და სამშენებლო მოედნის, გეოლოგიური აგებულების, ჰიდროგეოლოგიური პირობების და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის მიზნით.


ჩატარებული კვლევების მიხედვით საკვლევ უბანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, საშიში გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის.

სამშენებლო მოედანზე გამოიყო შემდეგი ს.გ. ელემენტები


1. ნაყარი გრუნტი სიმძლავრით 1,3-1,8 მ. (იგი ფუძედ არ განიხილება)
2. თიხნარი – მოყვითალო ყავისფერი, ძნელპლასტიური, სიმძლავრით 0,2-0,3მ., რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=1,8 კგ/სმ2
3. ხრეში - სიმძლავრით 0,2-0,3 მ., ფენის მცირე სიმძლავრის გამო იგი ს. . ლემენტად არგანიხილება
4. თიხნარი – მუქი რუხი, ხვინჭის ჩანართებით 10%-მდე, ძნელპლასტიური, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=2,8 კგ/სმ2
5. თიხა – ჟანგისფერი ლაქებით, კარბონატული მარილების შემცველობით, ნახევრად მყარი კონსტინტენციის.

არსებული ერთსართულიანი შენობა ლენტური ტიპის საძირკვლებით დაფუძნებულია მოყვითალო ყავისფერი, ძნელპლასტიურ თიხარზე, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=1,8 კგ/სმ2

ვიზუალური დათვალიერებით, ნაგებობის მზიდ ელემენტებში მნიშვნელოვანი ბზარები და დეფორმაციები არ შეინიშნება, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, და შესაძლებელია მასზე როგორც ერთი სართულის დაშენება, ისე მის გარშემო ახალი შენობის მიშენება. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ამ მიზნით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.



სურ. 3. არსებული შენობის გეგმა



სურ.4 არსებულ შენობაზე მიშენების გეგმა

დასკვნა

ჩატარებული ვიზუალური კვლევების მიხედვით ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84-ში, შესაძლებელია კლინილის ერთსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია, მასზე ერთი სართულის დაშენებითა და მის გარშემო ახალი შენობის მიშენებით. ამ მიზნით საჭიროა:

1. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ამ მიზნით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.
2. იმისათვის, რომ არ მოხდეს დაშენებიდან გადმოსული დატვირთვების, არსებული ნაგებობის კედლებზე გადასვლა, მიზანშეწონილია ერთსართულიანი ნაწილის ფარგლებში დაშენება განხორციელდეს ახალი რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლებისა და სვეტების ამოყვანით, რომლებიც შეიკვრება რკინაბეტონის რიგელებითა და გადახურვებით, რაც შექმნის ერთიან სივრცულ კონსტრუქციას, რომელიც მნიშვნელოვანია სეისმიური ძალების მისაღებად. მიშენება ასევე უნდა შესრულდეს რკინაბეტონის კარკასში
3. არსებულ კლინიკაზე მიშენების პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამშენებლო ნორმები და წესები – "შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08), მუხლი 10, პუნქტი 5, მუხლი 11, პუნქტი 6. ამ მიზნით მიზანშეწონილია ახალი შენობის საძირკვლებად მიღებული იქნას ხიმინჯები, (ან პროექტის კონსტრუქტორის მიერ შერჩეული სხვა გადაწყვეტილება).
4. საპროექტო ნაგებობები, როგორც სივრცული კონსტრუქციები გაანგარიშებული უნდა იქნეს 8 ბალიან სეისმიურ ზემოქმედებაზე.

ინჟინერ კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე